ეროვნული ბიბლიოთეკა

პროლეტარეთო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის

მუშათა და გლეხთა მთავრობის

კანონთა და განკარგულებათა კრებული

იუსტიციის სახალხო კომისარიატის გამოცემა

1929 წ. აგვისტოს 10 № 15 ნაწილი პირველი

შინაარსი:

ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის და სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებანი.

153. იუსტიციისა და შინაგან საქმეთა სახ. კომისრების მოხსენების გამო სისხლის სამართლისა და შრომა-გასწორების პოლიტიკის შესახებ.

154. საქართველოს სსრ ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს დებულების მე-3 მუხლისა, მე-7 მუხლის „ა“ და „ე“ პუნქტებისა და მე-12 მუხლის „ბ“ პუნქტის შეცვლის შესახებ.

155. მთავარი საკურორტო სამმართველოს დებულების 7 და 24 მუხლის შეცვლის შესახებ.

156. საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საკურნალო ადგილების (კურორტების) თობაზე გამოცემული დეკრეტის მე-17 იუხლის რედაქციის შეცვლის შესახებ.

157. სასოფლო-სამეურნეო კოლექტივებისათვის მათ მიერ იჯარით აღებული ან მათ ფაქტიურ სარგებლობაში მყოფი სახელმწიფო საადგილ-მამულო ქონებისა და აგრეთვე იმავე კოლექტივების ტერიტორიაზე მდებარე სამეურველო და დამხმარე საწარმოთა გადაცემის შესახებ.

158. საქართველოს სსრ სახელმწიფო ნოტარიატის დებულებისათვის 36[1] მუხლის დამატების შესახებ.

სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებანი.

159. კოლხიდის ჭაობების ამოშრობის სამუშაოთა რაიონში ყრილების (ბეკურების) და სალღერო ნაგებობის დაცვის შესახებ.

160. სტუდენტ-პრაქტიკანტების მიერ საზაფხულო პრაქტიკის ჩატარების შესახებ.

161. საქართველოს სსრ წიგნის პალატისათვის ლიტერატურის მიწოდების შესახებ.

162. სამოგზაურველო და სავაჭრო საწარმოთა წარმომადგენლობების მუშაობისათვის მეთვალყურეობის გაწევისა და ამავე მუშაობის აღნუსხვის შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებანი.

153. დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა ც.ა.კ. და ს.კ.ს.

იუსტიციისა და შინაგან საქმეთა სახ. კომისრების მოხსენების გამო სისხლის სამართლისა და შრომა-გასწორების პოლიტიკის შესახებ.

სრულიად საქართველოს ცენტრალურმა აღმასრულებელმა კომიტეტმა და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭომ, მოისმინეს იუსტიციის და შინაგან საქმეთა სახალხო კომისრების მოხსენება სისხლის სამართლისა და შრომა-გასწორების პოლიტიკის შესახებ, განიხილეს მათ მიერ წარმოდგენილი წინადადებანი ამ დარგში საჭირო ღონისძიებათა თაობაზე და დაადგინეს:

I

ა. სისხლის სამართლის პოლიტიკის დარგში.

1. წინადადება მიეცეს იუსტიციის სახალხო კომისარიატს მტკიცედ შეუდგეს სასამართლოთა მიერ მოკლევადიანი (ერთ წელზე ნაკლები) თავისუფლების აღკვეთის შეფარდების პრაქტიკის აღმოუხვრის და თანაც შემოიღოს მოკლევადიან თავისუფლების აღკვეთის შეცვლა (განსაკუთრებით შემთხვევითი დამნაშავეების მიმართ მშრომელთა წრიდან) სოციალური დაცვის სხვა ღონისძიებად, სახელდობრ: იძულებითი მუშაობად თავისუფლების აღუკვეთლად და აგრეთვე საზოგადოებრივ-აღზრდელობითი ხასიათის სხვა ღონისძიებად, ხოლო ხანგრძლივი ვადით თავისუფლების აღკვეთა და სოციალური დაცვის სხვა უფრო ძმიმე ღონიძიება შეეფარდება მხოლოდ კლასიურ მტრებს, ან დეკლასიურ ელემენტებს და ისიც მარტოოდენ განსაკუთრებით საშიში დანაშაულის გამო.

2. საჭიროდ იქნეს ცნობილი, რათა სასამართლოების მიერ სოციალური დაცვის ღონისძიებათა შეფარდების დროს სახელმძღვანელოდ მიღებულ იქნეს დამნაშავეთა დაყოფა ორ შემდეგ ძირითად ჯგუფად:

ა) კლასიური მტრები, რომელთა დანაშაულიც დაკავშირებულია საბჭოთა სახელმწიფო პოლიტიკის საფუძველის შეგნებულად დარღვევასთან, დეკლასიური ელემენტები—პროფუესიონალები და რეაციდივისტები, ბანდიტები, შეიარაღებული მძარცველობის მონაწილენი, საქონლის ქურდები, ბოროტი გამფლანგველები, მექრთამეები, ქურდები, მკვლელები და აგრეთვე დამნაშავენი, რომელნიც,—თუნდაც ისინი მშრომელთა წრიდან იყვნენ გამოსული,—ჩაიდენენ ისეთ დანაშაულს, რაც ადგილისა და დროის განსაზღვრულ პირობებში ცნობილ იქნება განსაკუთრებით სოციალურად-საშიშ ქმედობად;

ბ) ყველა დანარჩენი დამნაშავენი, რომელნიც სერიოზულ სოციალურ საშიშროებას არ წარმოადგენენ, სახელდობრ, ისინი, ვინც დანაშაულს ჩაიდენს შემთხვევით (პირველად ან შექმნილ ძმიმე გარემოებათა გამო), ან ჩაიდენს ისეთ

ვეთათვის, მტკიცედ იხელმძღვანელონ სისხ. სამ. კოდ. 42 მუხლით დადგენილი წესები, ე. ი. მხედველობაში მიიღონ დამნაშავის მიერ ჩადენილი დანაშაულის საშიშროების ხარისხი და ხასიათი, დამნაშავის ვინაობა, დანაშაულის მოტივები და ისიც, თუ რამდენად საზოგადოებრივად საშიშია ეს დანაშაული დროისა და ადგილის უწყებულ პირობებში.

7. ვიდრე მომქმედ სისხ. სამ. კოდექსში შეტანილ იქნებოდეს სათანადო ცვლილება იმ მხრივ, რომ სოციალური დაცვის ღონისძიებად მოკლევადიანი თავისუფლების აღკვეთის შეფარდება შეიზღუდოს, წინადადება მიეცეს სასამართლოებს— ისეთ შემთხვევაში, როდესაც სისხ. სამ. კოდექსის სათანადო მუხლი, რომლის მიხედვითაც ესა თუ ის პირი დამნაშავედ არის ცნობილი, არ თავალისწინებს სოციალური დაცვის სხვა ღონისძიებას, გარდა თავისუფლების აღკვეთისა ერთ წელზე ნაკლები ვადით,—სოციალური დაცვის ღონისძიების გადაწყვეტის დროს გადავიდენ იძულებითი მუშაობაზე, ან სოციალური დაცვის სხვა ნაკლებ მძიმე ღონისძიებაზე სისხ. სამ. კოდ. 48 მუხლში გათვალისწინებული წესისამებრ.

8. წინადადება მიეცეს იუსტიციის სახალხო კომისარს შეზღუდოს საჩვენებელი პროცესების პრაქტიკა იმ მხრივ, რომ ასეთი პროცესები ეწყობოდეს მხოლოდ ისეთი საქმეების გამო, რომელთაც ნამდვილად დიდი საზოგადოებრივი მნიშვნელობა აქვთ.

9. წინადადება მიეცეს იუსტიციის სახალხო კომისარიატს იხმაროს სათანადო ღონისძიება, რათა თავისუფლების აღკვეთა წინასწარი გამოძიების პერიოდში (როგორც აღმკვეთი ღონისძიება) შეეფარდოს მხოლოდ პირველი ჯგუფისათვის მიკუთვნებულ დამნაშავეთ და იმ წესის დაცვით, რაც გათვალისწინებულია სისხ. სამ. საპრ. კოდ. 158 მუხლში.

ამა მუხლის გამონაკლისი (სისხ. სამ. საპრ. კოდ. 158 მუხლის ფარგლებში) შეიძლება მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევაში საპრაკურორო ზედამხედველობის ნებართვით ან განკარგულებით ყოველი ცალკე შემთხვევისათვის.

10. წინადადება მიეცეს პროკურატურის ორგანოებს განსაკუთრებული ზედამხედველობა იქონიონ, რათა დაცულ იქნეს სისხ. სამ. საპრ. კოდექსით დაწესებული ვადები თავისუფლების აღკვეთისა როგორც აღმკვეთი ღონისძიებისა.

11. სისხლ. სამართლის და სასამართლო პოლიტიკის სწორად გატარების მიზნით დაეკალოს იუსტიციის სახალხო კომისარიატს მოაწყოს სასამართლო-საგამომძიებლო აპარატის მომუშავეთა გეგმაშეწონილი მომზადება და გადამზადება მათი კვალიფიკაციის ასამაღლებლად.

12. წინადადება მიეცეს იუსტიციის სახალხო კომისარიატს, შეიმუშაოს და წარუდგინოს საქართველოს სსრ-ის საკანონმდებლო ორგანოს კანონპროექტი სისხ. სამ. კოდ. იმ ნაწილის შეცვლისა, სადაც გათვალისწინებულია მოკლევადიანი თავისუფლების აღკვეთის შეფარდება და სრულიად მოსპოს თავისუფლების აღკვეთა ადმინისტრატიული წესით.

13. მეორე წლოვან და არასრულწლოვან დამნაშავეთათვის სოციალური დაცვის სამკურნალო-პედაგოგიური და სასამართლო-გამასწორებელი ხასიათის ღონისძიებათა შეფარდების საქმეში სწორი პოლიტიკის გასატარებლად წინადა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დება მიეცეს იუსტიციის სახალხო კომისარს განიხილოს აღნიშნული საკითხი და წარუდგინოს საქართველოს სსრ საკანონმდებლო ორგანოებს თავისი მოსაზრებანი ამ სფეროში საჭირო ღონისძიებათა შესახებ.

ბ. შრომა-გასწორების პოლიტიკის დარგში.

14. დაეევალოს შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატს შრომა-გასწორების პოლიტიკის განხორციელებისათვის იხმაროს ყოველგვარი ღონისძიება, რათა:

ა) დამკარებულ იქნეს ისეთი წესი, რომ სასამართლოების განაჩენების შესრულება რეალურად შესაძლებელი გახდეს;

ბ) შეიქმნას ისეთი პირობები, რომ შრომა-გასწორების პოლიტიკა სისხლის სამართლის—სასამართლო პოლიტიკის ბუნებრივ გაგრძელებას წარმოადგენდეს.

15. საჭიროდ იქნეს ცნობილი, რათა შრომა-გასწორების დაწესებულებათა სისტემაში შედიოდეს:

ა) წინასწარი პატიმრობის სახლები; ბ) სპეციალური დანიშნულების იზოლატორები; გ) შრომა-გასწორების სახლები; დ) შრომითი კოლონიები (სასოფლო-სამეურნეო, საფაბრიკო-საქარხნო და სახელოსნო); ე) იძულებითი მუშაობის ადგილობრივი ბანაკები.

16. წინადადება მიეცეს შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატს სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოსთან და მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატთან ერთად შეიმუშაოს საკითხი შრომითი კოლონიების (სასოფლო-სამეურნეო, საფაბრიკო-საქარხნო, სახელოსნო) მოწყობის შესახებ შრომა-გასწორების დაწესებულებათათვის უსასყიდლოდ ან შეღავათიან სარგებლობაში ისეთი საწარმოს გადაცემით, რომელიც არ მოქმედობს ან რომელსაც დიდი რემონტი ან გაწყობა სჭირდება, და ორი თვის ვადაზე წარუდგინოს საქართველოს სსრ საკანონმდებლო ორგანოებს სათანადო მოხსენება.

17. ამჟამად არსებული დაყოფა პატიმრებისა სამ კატეგორიად (დაწყებითი, საშუალო და უმაღლესი კატეგორიები) მათ მიერ სხვადასხვა შეღავათის სარგებლობის მხრივ, როგორც მეტად რთული და ხელოვნური სისტემა, ცნობილ იქნეს მიზანშეუწონლად, რის გამოც წინადადება მიეცეს შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატს გადასინჯოს ეს სისტემა მისი გამარტივების მიზნით.

18. საჭიროდ იქნეს ცნობილი, რათა შეიზღუდოს შეღავათების შეფარდება (ნამუშევარი დღეების ჩათვლა, შვებულების მიცემა, საშეღავათო კატეგორიაში გადაყვანა) კლასობრივად უცხო ელემენტებისა და პროფესიონალ-რეციდივისტების მიმართ; სასამართლოს მიერ ამ კატეგორიის დამნაშავეთათვის შეფარდებული სოციალური დაცვის ღონისძიების შემსუბუქება და მათი ვადამდე განთავისუფლება შეიძლება მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევაში და თანაც ისეთ პირობებში, რაც უზრუნველჰყოფს მათ ნამდვილ სოციალურ უშიშროებას.

19. წინადადება მიეცეს შინაგან საქმეთა და იუსტიციის სახალხო კომისარიატებს მიიღონ სათანადო ღონისძიება, რათა თავისუფლება აღკვეთილ პირთათვის შვებულების მიცემისა, ნამუშევარი დღეების ჩათვლისა და მათი ვა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამდე განთავისუფლების დროს სათანადო ორგანოებმა, კანონით გათვალისწინებული პირობების გარდა, ყოველ ცალკე შემთხვევაში იხელმძღვანელონ სასამართლო პოლიტიკის საერთო ამოცანები ამა თუ იმ მომენტში და აღნიშნული შეღავათები არ შეუფარდონ განსაზღვრული კატეგორიის დამნაშავეთ, რომელთა მიმართაც უწყებულ პერიოდში გაძლიერებული რეპრესიებია მიღებული.

20. წინადადება მიეცეს შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატს იზოლიატორებსა და გამსახლებში მოაწყოს სავალდებულო სამუშაოები ისე რომ:

ა) სახელმწიფო სახსარი რაც შეიძლება მინიმალურად დაიხარჯოს;

ბ) პატიმართა მთელი მასა ჩაბმულ იქნეს მუშაობაში;

გ) მშრომელთა წრიდან გამოსულ დამნაშავეთა მიერ შეთვისებულ იქნეს ისეთი შინა-სამრეწველო, სახელოსნო ან საწარმოო საქმე, რაც მომავალში, შრომა-გასწორების დაწესებულებიდან გასვლის შემდეგ, გაუადვილებს მათ სამუშაოს მოვნას.

21. წინადადება მიეცეს შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატს შეუდგეს თავისუფლების აღუკვეთლად იძულებითი სამუშაოების მასიური მოწყობას; ამასთანავე იმ მიზნით, რომ ეს ღონისძიება, როგორც სისხლის სამართლის რეპრესიის საშუალება, ნამდვილად იქნეს გამოყენებული, იძულებითი სამუშაობი უნდა იყოს უფასო და მას საფუძვლად უნდა დაედოს მეურნეობრივი გამორჩენა, თანაც უნდა მოეწყოს ისეთი კატეგორიის საშუშაოები, რომ მსჯავრდადებულისათვის იგი რეალური რეპრესიის ღონისძიებას წარმოადგენდეს.

22. საპირო იქნეს ცნობილი, რათა შრომა-გასწორების დაწესებულებათა საწარმოო საპიროებანი (დაკრედიტება, ნედლეულის მიწოდება და სხ.) გათვალისწინებულ იქნეს სათანადო ორგანოთა და დაწესებულებათა გეგმებში.

23. წინადადება მიეცეს შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატს კულტურულ-აღმზრდელობითი მუშაობას საპატიმრო ადგილებში საფუძვლად დაუდოს დანაშაულობასთან ბრძოლის სპეციფიური ამოცანები, რისთვისაც:

ა) კულტურულ-აღმზრდელობითი მუშაობა პირველ რიგში უნდა ტარდებოდეს მშრომელთა წრიდან გამოსულ პატიმართა შორის, ხოლო განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს მუშაობის გაძლიერებას მუშურ-გლეხური ახალგაზრდობის წრეში;

ბ) ყოველი ღონე უნდა იქნეს ხმარებული პროფ-ტეხნიკური სწავლების მოწყობისა და წერა-კითხვის უცოდინარობის სრული ლიკვიდაციისათვის;

გ) გადაჭრით უნდა იქნეს აღმოფხვრილი ზოგიერთი შემთხვევაში დღევანდლამდე არსებული პრაქტიკა, რომლის მიხედვითაც აღმზრდელობითი მუშაობის ფაქტიურ ხელმძღვანელობას ეწევიან პატიმრები მტრულად განწყობილ კლასის წრიდან.

24. შრომა-გასწორების დაწესებულებათა მთელ სისტემაში სწორი რეჟიმის დასამყარებლად წინადადება მიეცეს შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატს:

ა) შეიმუშაოს ღონისძიებათა პროექტი შრომა-გასწორების დაწესებულების შედგენილობის თვისებრივი გაუმჯობესებისათვის;

ბ) გაამლიერის საპატიმრო ადგილების მსახური პერსონალის პასუხისმგებლობა კანონით დაწესებული შრომა-გასწორების რეჟიმის მტკიცედ

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაცვისათვის და გააფართოოოს სასატიმრო ადგილების უფროსთა ადმინისტრატიული უფლებამოსილობა;

ბ) გააძლიეროს ბრძოლა სასატიმრო ადგილების ზედამხედველ პირთა შორის შემჩნეული თვითნებობისა, უხეშობისა, პროტექციონიზმისა და სხვა ამგვარ მოვლენებთან, რისთვისაც დანაშაველი მიეცემულ უნდა იქნენ პასუხისგებაში სადისციპლინო ან სასამართლო წესით.

25. იმ მიზნით, რათა დამყარებულ იქნეს რაც შეიძლება მეტი საორგანიზაციო კავშირი სისხლის სამართლის—სასამართლო და შრომა-გასწორების პოლიტიკისათვის ხელმძღვანელობის გაწევის საქმეში, რათა ამ სფეროში გაძლიერდეს საზოგადოებრივი კონტროლი და აგრეთვე იმისათვის, რომ სასატიმრო ადგილების მმართველობაა მიეცეს მეტი უფლებანი და დაეკისროს მეტი პასუხისმგებლობა შრომა-გასწორების პოლიტიკის განხორციელების დარგში, საკიროდ იქნეს ცნობილი:

ა) რათა გატარდეს შრომა-გასწორების დაწესებულებებთან არსებული მეთვალყურე კომისიების რეორგანიზაცია მათი ფუნქციების გაფართოების მხრივ და ამ კომისიების თავმჯდომარეობა დაეკისროს სასამართლო დაწესებულებათა წარმომადგენელს (სამაზრო სასამართლოს წევრს) და გაძლიერდეს მათში მუშათა ორგანიზაციების (პროფკავშირები, ადგილობრივი საბჭოები) წარმომადგენლობა;

ბ) რათა გაუქმდეს ცენტრალური განმანაწილებელი კომისია და მისი ფუნქციების ერთი ნაწილი გადაეცეს ადგილობრივ მეთვალყურე კომისიებს, მეორე—სასატიმრო ადგილების სამმართველოს, ხოლო მესამე—შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატთან არსებულ განსაკუთრებულ კომისიას.

26. საკიროდ იქნეს ცნობილი, რათა მეთვალყურე კომისიების მუშაობა მოეწყოს ისე, რომ იგი არა მარტო იხილავდეს შემოსულ განცხადებებს, არამედ ეწეოდეს პატიმართა ინდივიდუალურ შესწავლას და აქტიურ მონაწილეობას იღებდეს შრომა-გასწორების დაწესებულებათა მუშაობის გაუმჯობესების საქმეში.

27. ზედამხედველობის გაწევა მეთვალყურე კომისიების მოქმედებისათვის დაეკისროს შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატთან არსებულ განსაკუთრებულ კომისიას, რომელშიაც შედიან: საპატიმრო ადგილების სამმართველოს უფროსი (თავმჯდომარე), უხეცესი სასამართლოს წევრი და საქართველოს სსრ სახელმწიფო პოლიტიკური სამმართველოს კოლეგიის წევრი.

28. წინადადება მიეცეს პროკურატურის ორგანოებს განახორციელონ რეალური ზედამხედველობა შრომა-გასწორების დაწესებულებათა მიმართ და თვალყური ადევნონ შრომა-გასწორების პოლიტიკის სწორად გატარებას.

29. საკიროდ იქნეს ცნობილი, რათა გაფართოვდეს პატიმართა დამხმარე კომიტეტის მუშაობა და ჩაებას ამ მუშაობაში სახელმწიფო ორგანოები და საბჭოთა საზოგადოებრივობის ფართო წრეები.

30. დაეკალოს იუსტიციის სახალხო კომისარიატს შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატთან ერთად:

ა) შეიმუშაოს ლონისძიებანი ისეთი სასამართლო განაჩენების დროზე და რეალურად აღსრულების უზრუნველყოფისათვის, რომლითაც დამნაშავეს, თავი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სუფლების აღკვეთისა და იძულებითი მუშაობის გარდა, შისაჯილი აქვს სოციალური დაცვის სხვა ღონისძიებაც;

ბ) წარუდგინოს საკანონმდებლო ორგანოებს კანონპროექტი შრომა-გასწორების კოდექსის იმ ცვლილებათა შესახებ, რაც ამა დადგენილებიდან გამომდინარეობს.

II

31. სისხლის სამართლისა და შრომა-გასწორების პოლიტიკის გატარების სფეროში ყველა საკითხების შეთანხმების მიზნით—იუსტიციის სახალხო კომისარს ევალება პერიოდულად მოაწყოს ხოლმე იუსტიციისა და შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატების მომუშავეთა თათბირი.

32 წინადადება მიეცეს განათლების სახალხო კომისარიატს თავის საწარმოო გეგმებით გაითვალისწინოს შრომა-გასწორების დაწესებულებებში კულტურულ-განმანათლებელი მუშაობის წარმოება.

33. დაევალოს სახელმწიფო-საგეგმო კომისიას, შეიმუშაოს საკითხი იმის შესახებ, რომ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატი შრომა-გასწორების პოლიტიკის განხორციელების მხრით მიეკუთვნოს სოციალურ-კულტურული მნიშვნელობის ორგანოთა კატეგორიას და აგრეთვე გაითვალისწინოს აქედან გამომდინარე მდგომარეობა ამ კომისარიატისა სახელმწიფო ბიუჯეტში, მისი მოქმედების ამ ნაწილის მიხედვით (შრომა-გასწორების დაწესებულებათა ბიუჯეტის ბუნებრივი ზრდა).

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე **მ. ცხაკაია.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი **ხ. თოდრია.**

1929 წ. მაისის 22.
ტფილისი—სასახლე.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტი“-ს 156 №-ში 1929 წ. ივლისის 10-ს.

---

154. დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა ც.ა.კ. და ს.კ.ს.

საქართველოს სსრ ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს დებულების მე-3 მუხლისა, მე-7 მუხლის „ა“ და „ე“ პუნქტებისა და მე-12 მუხლის „ბ“ პუნქტის შეცვლის შესახებ.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო აღგენენ:

საქართველოს სსრ ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს დებულების (საქართველოს სსრ კან. კრ. 1928 წ. მე-16 №-რი, მუხ. 152) მე-3 მუხლი,

ეროვნული ბიბლიოთეკა

მე-7 მუხლის „ა“ და „ე“ პუნქტები და მე-12 მუხლის „ბ“ პუნქტი შეიცვალოს და მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

„მუხ. 3. საქართველოს სსრ ცენტრალური სტატისტიკური სამმართველო უშუალოდ ექვემდებარება სრულიად საქართველოს ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს, მის პრეზიდიუმს და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს და თავისი მოქმედებით განახორციელებს ა/კსფსრ ცენტრალი სტატისტიკური სამმართველოს დირექტივებს, აგრეთვე ამ უკანასკნელის მიერ გადაცემულ სსრკ-ის ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს დირექტივებისა და განკარგულებებს“.

„მე-7 მუხლის „ა“ პუნქტი. განახორციელოს საქართველოს სსრ საბჭოების ყრილობებისა, სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა, მისი პრეზიდიუმისა, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს და ეკონომიური საბჭოს დადგენილებანი სტატისტიკის საკითხების გამო; ზედამხედველობა გაუწიოს ამ დადგენილებათა აღსრულებას; შეასრულოს ა/კსფსრ ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს დავალებანი; ზედამხედველობა გაუწიოს ამ დავალებათა აღსრულებას და აგრეთვე იმ დავალებათა აღსრულებას, რასაც საქართველოს სსრ ცენტრალური სტატისტიკური სამმართველო მისცემს რესპუბლიკანურ უწყებებსა და დაწესებულებებს“.

„მე-7 მუხლის „ე“ პუნქტი. დაამტკიცოს საქართველოს სსრ სახალხო კომისარიატთა და სხვა ცენტრალურ დაწესებულებათა, აგრეთვე რესპუბლიკანური მნიშვნელობის საწარმოთა და ორგანიზაციათა მიერ სტატისტიკური მასალების შეკრეფისა და შემუშავების პროგრამები და წესი იმ შემთხვევაში, როდესაც ეს სამუშაო საერთო-საამიერკავკასიო ან რესპუბლიკანური გეგმით გათვალისწინებული არ არის“.

„მე-12 მუხლის „ბ“ პუნქტი. დაამტკიცოს საქართველოს სსრ სახალხო კომისარიატთა და სხვა ცენტრალურ დაწესებულებათა, აგრეთვე რესპუბლიკანური მნიშვნელობის საწარმოთა და ორგანიზაციათა მიერ სტატისტიკური მასალის შეკრეფისა და შემუშავების პროგრამები და წესი იმ შემთხვევაში, როდესაც ეს მუშაობა საერთო-საამიერკავკასიო ან რესპუბლიკანური გეგმით გათვალისწინებული არ არის“.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე **მ. ცხაკაია.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი **ს. თოდრია.**

1929 წ. ივნისის 26.
ტფილისი—სასახლე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

155. დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა ც.ა.კ. ს.კ.ს.

მთავარი საკურორტო სამმართველოს დებულების 7 და 24 მუხლის შეცვლის შესახებ.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

I.

მთავარი საკურორტო სამმართველოს დებულების (საქართველოს სსრ კან. კრებ. 1925 წ. 2 №-რი, მუხ. 45 და 1928 წ. 12 №-რი, მუხ. 114) 7 და 24 მუხლი შეიცვალოს და მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

„**მუხ. 7.** მთავარი საკურორტო სამმართველო განახორციელებს თავის მოქმედებას ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის მიერ საერთო-სახელმწიფო მნიშვნელობის ყველა კურორტისათვის ყოველწლიურად დამტკიცებული საექსპლოატაციო-სამეურნეო გეგმისა და ამ გეგმის საფუძველზე შედგენილი შემოსავალ-გასავლის წლიური ხარჯთაღრიცხვის მიხედვით.

მთავარი საკურორტო სამმართველოს საექსპლოატაციო მოქმედებით მიღებული მოგება, ამერიკაკავასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის 1929 წლის მარტის 4-ის დადგენილების (ოქმი № 4 § 20) ძალით, მთლად ჩაირიცხება საკურორტო საქმის გაუმჯობესების სპეციალურ კაპიტალში და იგი გათვალისწინებულ უნდა იქნეს სახელმწიფო ბიუჯეტით სათანადო ასიგნეების გადადების დროს.

შენიშვნა. აღნიშნული სპეციალური კაპიტალის შექმნისა, შენახვისა და დახარჯვის წესი დადგენილ იქნება საქართველოს სსრ ეკონომიური საბჭოს მიერ დამტკიცებული განსაკუთრებული წესებით“.

„**მუხ. 24.** საკურორტო საქმის სფეროში სხვადასხვა უწყებებისა და ორგანიზაციების მოქმედების შესათანხმებლად, მათ მიერ საკურორტო მშენებლობისათვის წარმოებულ მუშაობაში პარალელიზმის მოსასპობად და აგრეთვე საკურორტო პოლიტიკისა და გეგმის ერთიანობის უზრუნველსაყოფად—ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატთან მოქმედობს საკურორტო თათბირი, რომლის შედგენილობასა და მოქმედების ფარგლებს განსაზღვრავს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო“.

II.

მიენდოს ფინანსთა სახალხო კომისარიატს, ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატთან შეთანხმებით, ერთი თვის ვადაზე შეიმუშაოს და წარუდგინოს დასამტკიცებლად საქართველოს სსრ ეკონომიურ საბჭოს პროექტი წესებისა საკურორტო საქმის გაუმჯობესების სპეციალური კაპიტალის შექმნისა, შენახვისა და დახარჯვის წესის შესახებ.

სრულიად საქართველოს ცენტრალური
აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე **მ. ცხაკაია.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

სრულიად საქართველოს ცენტრალური
აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი **ს. თოდრია.**

1929 წ. ივნისის 26.
ტფილისი—სასახლე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

156. დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა ც.ა.კ. და ს.კ.ს.

საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის სამკურნალო ადგილების (კურორტების) თაობაზე გამოცემული დეკრეტის მე-17 მუხლის რედაქციის შეცვლის შესახებ.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის სამკურნალო ადგილების (კურორტების) შესახებ 1923 წ. თებერვლის 3-ს თარიღით გამოცემული (საქართველოს სსრ კან. კრ. 1923 ს. 1-ლი №-რი, მუხ. 2) დეკრეტის მე-17 მუხლი მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

„**მუხ. 17.** რათა მთავარმა საკურორტო სამმართველომ წარმატებით შეასრულოს მისთვის დაკისრებული სერიოზული და ხანგრძლივად განსახორციელებელი მიზანი საქართველოს სსრ-ში საკურორტო საქმის აღდგენისა და განვითარებისათვის, მთელი ის მოგება, რაც საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის სამკურნალო ადგილების (კურორტების) ექსპლოატაციით შემოვა, ჩაირიცხოს სპეციალურ კაპიტალში, რომელიც მთლად საკურორტო საქმის გაუმჯობესებას მოხმარდეს“.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე **მ. ცხაკაია.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი **ს. თოდრია.**

1929 წ. ივნისის 26.
ტფილისი—სასახლე.

---

157. დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა ც.ა.კ. და ს.კ.ს.

სასოფლო-სამეურნეო კოლექტივებისათვის მათ მიერ იჯარით აღებული ან მათ ფაქტიურ სარგებლობაში მყოფი სახელმწიფო საადგილმამულო ქონებისა და აგრეთვე იმავე კოლექტივების ტერიტორიაზე მდებარე სამრეწველო და დამხმარე საწარმოთა გადაცემის შესახებ.

სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს მიერ 1927 წლის მარტის 16-ის თარიღით „კოლექტიურ მე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ურნეობათა შესახებ“ გამოცემული დადგენილების (სსრკ კან. კრებ. 1927 წლის 15 №-რი, მუხ. 161) მე-VII კარის 1-ლი მუხლის „ბ“ პუნქტისა და მე-2 მუხლის თანახმად სრულიად საქართველო ს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

I.

1. სახელმწიფო საადგილ-მამულო ქონების მიწა, რაც ამა დადგენილების გამოქვეყნების დროისათვის სასოფლო-სამეურნეო კოლექტივის არაგაფორმებულ ფაქტიურ ან საიჯარო სარგებლობაშია—აღნიშნული მომენტიდან ჩაითვალოს ხსენებული კოლექტივის მუდმივ შრომითი სარგებლობაში (საქართველოს სსრ მიწის კოდექსის მე-10 მუხლის „ა“ პუნქტი და 11 მუხლი).

2. სასოფლო-სამეურნეო კოლექტივების მიერ იჯარით აღებული მიწა, რაც მომსახურეობას უწევს სახელმწიფო მრეწველობის სპეციალურ დარგებს და სპეციალურ სახელმწიფო საპიროებას, გადაეცეს კოლექტივებს უვადო და უსასყიდლო სარგებლობაში, რისთვისაც უნდა დაიდვას ცალკე ხელშეკრულება იმ ვალდებულებით, რომ ეს მიწა გამოყენებულ იქნეს მისი სპეციალური დანიშნულებისამებრ.

3. შენობა, სამელიორაციო ნაგებობა, ნარგავი, სასოფლო-სამეურნეო ინვენტარი და სხვა სასოფლო-სამეურნეო გაწყობილობა და ხელსაწყო, რაც არ ეკუთვნის სასოფლო-სამეურნეო კოლექტივს, ხოლო მის არაგაფორმებულ უვადო ფაქტიურ, ან საიჯარო სარგებლობაშია და დაკავშირებულია 1-ლ მუხლში აღნიშნულ მიწასთან,—გადაეცეს ხსენებულ სასოფლო-სამეურნეო კოლექტივს უსასყიდლო სარგებლობაში და განკარგულებაში იმ წესით და იმ პირობებით, რაც გათვალისწინებულია ამა დადგენილების მე-13 მუხლში.

4. ამა დადგენილების 1-ლ, მე-2 და მე-3 მუხლში აღნიშნული მიწისა და ქონების შესახებ საადგილ-მამულო ორგანოებთან დადებული საიჯარო ხელშეკრულებანი ძალადაკარგულად ჩაითვალოს. სასოფლო სამეურნეო კოლექტივის დავალიანება, რაც წარმომდგარია ზემოაღნიშნულ ხელშეკრულებებში გათვალისწინებული საიჯარო ქირისა და სათანადო საურავის შეუტანლობით, ჩამოწერილ უნდა იქნეს.

შენიშვნა. აღნიშნული დავალიანების დასაფარავად ამა დადგენილების გამოქვეყნების დღისათვის გადახდევინებული და ნებაყოფლობით შეტანილი თანხა დაბრუნებულ არ უნდა იქნეს.

5. მიენდოს: ა) საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს ამა დადგენილების 1—4 მუხლებში აღნიშნული ღონისძიებანი განახორციელოს 1928-29 წლის განმავლობაში; ბ) აფხაზეთის სსრ-ის, აჭარისტანის ავტონომიური სსრ-ის და სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებს—წინადადება მისცენ თავის ქვემდებარე მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატებს, რათა მათ იმავე ვადაზე განახორციელონ აღნიშნული ღონისძიებანი.

6. გადაეცეს სასოფლო-სამეურნეო კოლექტივებს უსასყიდლო სარგებლობისა და განკარგულებისათვის ამა დადგენილების მე-13 მუხლში აღნიშნული პირობებით, სამრეწველო და დამხმარე საწარმონი (შენობა, გაწყობილობა და სხვა

ეროვნული ბიბლიოთეკა

საამისო საგნები და გამართულობა), რაც ამ სასოფლო-სამეურნეო კოლექტივების სარგებლობაში ქონებული მიწების ფარგლებში მდებარეობს და რაც სახელმწიფო დაწესებულებისა, საწარმოს და ადგილობრივი საბჭოს გამგებლობაშია.

7. ამა დადგენილების მე-6 მუხლში აღნიშნული საწარმონი და გამართულობანი გადაცემულ უნდა იქნეს: ა) ადგილობრივი საბჭოს და აგრეთვე სახელმწიფო სამრეწველო საწარმოთა შესახებ არსებული კანონების საფუძველზე მომქმედი ტრესტებისა და სხვა შენაერთის სარგებლობაში ქონებული საწარმო და გამართულობა—მიმდინარე საწარმოო წლის დასრულების შემდეგ; ბ) სახელმწიფო დაწესებულებისა და საწარმოს, კოოპერატიული და საზოგადოებრივი შენაერთისა და კერძო პირის ვადიან სახელშეკრულებო სარგებლობაში ქონებული საწარმო და გამართულობა—ხელშეკრულების ვადის გასვლის შემდეგ ან ამ ხელშეკრულების მოქმედების სხვა რაიმე მიზეზის გამო მოსპობის შემდეგ; გ) სასოფლო-სამეურნეო კოლექტივის ფაქტიურ სარგებლობაში ქონებული საწარმო და გამართულობა და აგრეთვე ის საწარმო და გამართულობა, რომლის ექსპლოატაციასაც არავინ ეწევა—სამი თვის ვადაზე ამა დადგენილების გამოქვეყნების დღიდან.

8. მომქმედი საწარმო, ამა დადგენილების მე-7 მუხლის „ა“ და „ბ“ პუნქტში აღიშნულ საწარმოთა რიცხვიდან, ამუშავებული გადაიცემა მისი ნედლეულისა, მასალისა და ნახევარფაბრიკატის მარაგით და აგრეთვე მისი ოპერაციების მიმდინარე ყველა ვალდებულებით და მოთხოვნით (სამუშაო ხელფასი, შეკვეთა და სხვ.).

გადასაცემი საბრუნავი სახსარისა, ვალებისა და მოთხოვნების სწორი შედგენილობა და აგრეთვე მათი გადაცემის პირობები განისაზღვრება სათანადო სასოფლო-სამეურნეო კოლექტივების შეთანხმებით იმ ორგანოსთან, რომელსაც ეკუთვნის გადასაცემი ქონების განკარგულების უფლება.

9. საწარმოს და გამართულობის გადაცემა (მუხლი 7) მოხდება სათანადო სასოფლო-სამეურნეო კოლექტივების განცხადების თანახმად განსაკუთრებული კომისიების დადგენილებით. ეს კომისიები მოეწყობა სამაზრო აღმასრულებელ კომიტეტებთან (ხოლო სამხრეთ-ოსეთის ავტონომიურ ოლქში—ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტთან) შემდეგი შედგენილობით: თავმჯდომარე, რომელსაც დანიშნავს სათანადო აღმასრულებელი კომიტეტი, და სამი წევრი, რომელთაგან ერთს დანიშნავს საადგილ-მამულო ორგანო, მეორეს—ის დაწესებულება, რომლის გამგებლობაშიაც გადასაცემი ქონებაა, და მესამეს—კოლექტიურ მეურნეობათა შენაერთი ან, უკეთუ ეს შენაერთი არ არის—სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის კავშირი.

კომისიის გამგებლობის საგანს შეადგენს აგრეთვე იმ უთანხმებისა და დავის გადაწყვეტა, რაც აღმოცენდება საბრუნავი სახსარისა, ვალისა და მოთხოვნის გადაცემის პირობების გამო, მე-8 მუხლის თანახმად.

10. სასოფლო-სამეურნეო კოლექტივს განცხადების წარდგენა იმის შესახებ, რომ მას, ამა დადგენილების თანახმად, გადაეცეს სამრეწველო და დამხმარე საწარმო, შეუძლიან ერთი წლის განმავლობაში ამა დადგენილების გამოქვეყნების დღიდან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

განცხადება წარედგინება იმ ადგილის საადგილ-მამულო ორგანოს, სადაც კოლექტივი იმყოფება.

მე-9 მუხლში აღნიშნულმა კომისიამ საქმე უნდა გადასწყვიტოს არა უგვიანეს ერთი თვისა სასოფლო-სამეურნეო კოლექტივის განცხადების მიღების დღიდან.

კომისიის დადგენილება ძალაში შედის მას შემდეგ, რაც მას დამტკიცებს სამაზრო აღმასრულებელი კომიტეტი. სამაზრო აღმასრულებელი კომიტეტი მოვალეა განიხილოს კომისიის დადგენილება არა უგვიანეს ერთი თვისა ამ მუხლში აღნიშნული კომისიის მიერ საქმის გადაწყვეტის დღიდან.

11. კომისიის დადგენილება, დამტკიცებული სათანადო აღმასრულებელი კომიტეტის მიერ, შეიძლება განსაჩივრებულ იქნეს ორი კვირის ვადაზე საერთო წესისამებრ.

შენიშვნა. სამაზრო აღმასრულებელი კომიტეტის დადგენილება, მიღებული ამა დადგენილების მე-11 მუხლის წესისამებრ, საბოლოოდ დამტკიცებულ უნდა იქნეს საქართველოს სსრ ეკონომიური საბჭოს მიერ იმ შემთხვევაში, როდესაც სასოფლო-სამეურნეო კოლექტივს გადაეცემა: ა) წისქვილი, რომელსაც ორ თვალზე მეტი აქვს და რომლის გამოსავალიც დღე-ღამეში 8,5 ტონს აღემატება; ბ) ზეთის სახდელი ქარხანა, რომლის გამოსავალიც დღე-ღამეში ერთ ტონს აღემატება; გ) ხე-ტყის სახერხი ქარხანა, რომელსაც ერთზე მეტი მრგვალი ხერხი აქვს და რომლის გამოსავალიც დღე-ღამეში 3 კუბიკურ მეტრს აღემატება; დ) აგურისა და კრამიტის ქარხანა, რომლის გამოსავალიც დღე ღამეში 500.000 ცალ აგურსა თუ კრამიტს აღემატება.

12. ამა დადგენილების მე-6 მუხლში აღნიშნული შენობების და სხვა ქონების გადაცემის დროს შედგენილ უნდა იქნეს მთელი გადასაცემი ქონების დაწერილებითი აღწერილობა და შეფასება მისი ნამდვილი ღირებულების მიხედვით გადაცემის მომენტისათვის.

გადაცემის შესახებ შესდგება აქტი, რომელშიაც აღნიშნულ უნდა იქნეს:

ა) დრო გადაცემისა; ბ) საფუძველი გადაცემისა; გ) გადასაცემი ქონების სახელწოდება და ის ადგილი, სადაც ეს ქონებაა; დ) სახელწოდება ქონების მიმღები სასოფლო-სამეურნეო კოლექტივისა; ე) სასოფლო-სამეურნეო კოლექტივის უფლება-მოვალეობანი გადაცემული ქონების მიმართ (მუხლი 13); ვ) ქონების გადამცემი და მიმღები პირები.

გადაცემის აქტს ხელს მოაწერს ქონების გადაცემისათვის უფლებამოსილი პირი და ქონების მიმღები სასოფლო-სამეურნეო კოლექტივის გამგეობა.

აღნიშნული აქტი ქონების აღწერილობასთან და შეფასებასთან ერთად არის სასოფლო-სამეურნეო კოლექტივის დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს მის უფლებას ამ ქონებაზე.

13. სასოფლო სამეურნეო კოლექტივის მიერ გადაცემის აქტით მიღებული ქონების, მათ შორის საწარმოს, ღირებულება ჩაირიცხება სასოფლო-სამეურნეო კოლექტივის ძირითად (განუყოფელ) კაპიტალში უდავო და უპირობო სახელმწიფო სესხად; ამასთანავე კოლექტივი ვალდებულია შეუნარჩუნოს თავის მეურნეობაში მიღებულ ქონებას მისი ღირებულება და ყოველგვარი ღონისძიება

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

იხმაროს, რათა ეს ქონება სათანადოთ იქნეს მოვლილი (რემონტი, დაზღვევა და სხვ.) და აღდგენილი გაცვეთილადამხედვით (საამორტიზაციო ანარიცხი).

ამის გარდა, სასოფლო-სამეურნეო კოლექტივისათვის გადაცემული სამრეწველო და დამხმარე საწარმოს მიმართ დადგენილია შემდეგი წესები: ა) კოლექტივი მოვალეა განაგრძოს ან მოაწყოს საწარმოს სამეურნეო ექსპლოატაცია ისე, რომ ეს საწარმო იჯარით არ გასცეს; ბ) ექსპლოატაციის დროს იმ გარეშე პირთა დაქირავებული შრომის გამოყენება, რომელნიც კოლექტივის წევრად არ არიან,—შეიძლება იმ ფარგლებში და იმ პირობებით, რაც დადგენილ იქნება საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატისა და შრომის სახალხო კომისარიატის განსაკუთრებული ინსტრუქციით; გ) უკეთუ სასოფლო-სამეურნეო კოლექტივი წესიერად არ აწარმოებს საქმეს ან დაარღვევს ამა მუხლის „ა“ და „ბ“ პუნქტებში აღნიშნულ მოთხოვნას, საწარმო შეიძლება ჩამოერთვას მას უსასყიდლოდ სამაზრო აღმასრულებელი კომიტეტის დადგენილებით.

შენიშვნა. იმ ქონების სრული ან ნაწილობრივი ჩამორთმევა, რომელიც ამა დადგენილების მე-3 და მე-6 მუხლის თანახმად სასოფლო-სამეურნეო კოლექტივს გადაეცა, შეიძლება მხოლოდ იმ წესით, რაც გათვალისწინებულია სამოქალაქო სამართლის კოდექსის 22 მუხლის დანართში.

14. უკეთუ სასოფლო-სამეურნეო კოლექტივის ლიკვიდაცია მოხდა, ის მიწა და ქონება, რაც მას ამა დადგენილების 1, 2 და 3 მუხლის თანახმად გადაეცა, დაბრუნებულ უნდა იქნეს სახელმწიფო საადგილ-მამულო ქონების შედგენილობაში, ხოლო ამავე დადგენილების მე-6 მუხლის თანახმად გადაცემული საწარმო გადაეცემა სამაზრო აღმასრულებელ კომიტეტს.

ამასთანავე, უკეთუ სასოფლო-სამეურნეო კოლექტივმა რაიმე ცვლილება შეიტანა იმ ქონებაში, რაც მას გადაეცა სესხად ძირითად კაპიტალში (მ. 13), დაბრუნებულ უნდა იქნეს თანასწორი ღირებულების ქონება, ან მისი ეკვივალენტური ღირებულება იმ შეფასებით, რაც დადგენილ იყო გადაცემის დროს.

ამა მუხლის თანახმად დაბრუნებული სახელმწიფო საადგილ-მამულო ქონება და საწარმო გადაეცემა სხვა სასოფლო-სამეურნეო კოლექტივს როგორც უკვე არსებულს, ისე ახლად მოწყობილს. უკეთუ სასოფლო-სამეურნეო კოლექტივების მხრივ სათანადო განცხადება არ იქნება წარდგენილი, სახელმწიფო საადგილ-მამულო ქონებას გამოიყენებს მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატი, ხოლო საწარმოთ—აღმასრულებელი კომიტეტები საერთო წესისამებრ.

15. სასოფლო-სამეურნეო კოლექტივის ლიკვიდაციის დროს მისი დავალიანება ძირითადი კაპიტალისათვის ამა დადგენილების მე-13 მუხლის წესისამებრ მიღებული სესხის მიმართ დაფარულ უნდა იქნეს პირველ რიგში იმის შემდეგ, როდესაც დაფარული იქნება დავალიანება იმ მოთხოვნის გამო, რაც ემყარება საშრომო და კოლექტიურ ხელშეკრულებას, დაშავებისა თუ სიკვდილის შემთხვევას და ვალდებულებას სოციალური დაზღვევისა და სახელმწიფო და ადგილობრივი გადასახადების სფეროში.

16. სასოფლო-სამეურნეო კოლექტივს, უკეთუ იგი აღძრავს სათანადო შუამდგომლობას, გადაეცემა საიჯარო სარგებლობაში შეღავათიანი პირობებით, უპირატესად სხვა ორგანიზაციებთან შედარებით, ის სამრეწველო და დამხმარე

ეროვნული ბიბლიოთეკა

საწარმო, რომელიც მდებარეობს ამ კოლექტივის მიწების მომიჯნავე მიწაზე; ამასთანავე ადგილმბრივი მნიშვნელობის საწარმო კოლექტივს გადაეცემა სათანადო სამაზრო აღმასრულებელი კომიტეტის განკარგულებით (სამხრეთ-ოსეთის ავტონომიურ ოლქში—ცენტრალურ აღმასრულებელი კომიტეტის განკარგულებით), ხოლო რესპუბლიკაური მნიშვნელობის საწარმო—სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს განკარგულებით ან იმ ცენტრალური დაწესებულების განკარგულებით, რომლის გამგებლობაშიაც ეს საწარმოა.

შენიშვნა. ამა დადგენილების მე-16 მუხლში აღნიშნულ საწარმოთა სასოფლო-სამეურნეო კოლექტივებისათვის საიჯარო სარგებლობაში გადაცემის შედეგათიანი პირობები დადგენილ უნდა იქნეს ინსტრუქციით, რომელსაც გამოსცემს საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭო საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატთან და ფინანსთა სახალხო კომისარიატთან შეთანხმებით.

II.

ამა დადგენილების მოქმედება გავრცელებულ იქნეს საქართველოს სსრ და მის შედგენილობაში შემავალი აფხაზეთის სსრ, აჭარისტანის ავტონომიური სსრ და სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორიაზე.

III.

მიენდოს: ა) ამა დადგენილებაში აღნიშნულ სახალხო კომისარიატებს გამოსცენ ერთი თვის განმავლობაში სათანადო ინსტრუქციები და ბ) იუსტიციის სახალხო კომისარიატს შეიმუშაოს და წარუდგინოს საქართველოს სსრ საკანონმდებლო ორგანოებს პროექტი დადგენილებისა სამოქალაქო კოდექსის შეცვლის შესახებ ამა დადგენილების მე-15 მუხლში აღნიშნული წესის შემოღებასთან დაკავშირებით.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე **მ. ცხაკაია.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი **ს. თოდრია.**

1929 წ. ივნისის 26.
ტფილისი—სასახლე.

---

158. დადგენილება ც.ა.კ. და ს.კ.ს.

საქართველოს სსრ სახელმწიფო ნოტარიატის დებულებისათვის 36[1] მუხლის დამატების შესახებ.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

ეროვნული ბიბლიოთეკა

1. საქართველოს სსრ სახელმწიფო ნოტარიატის დებულებას (კან. კრებ. 1928 წ. მე-16 №-რი, მუხ. 157) დაემატოს 36¹ მუხლი შემდეგი შინაარსისა:

„მუხ. 36¹. კერძო პირთა მიერ ქონების (შენობისა, აღნაგობის უფლებისა, სავაჭრო საწარმოს და სხვ.) გასხვისების შესახებ დადებული გარიგების სანოტარო წესით დამოწმების დროს ნოტარიუსი მოვალეა მოითხოვოს წარდგენა სათანადო საფინანსო ორგანოს ცნობისა იმის დასადასტურებლად, რომ ქონების განმსხვისებელს გადახდილი აქვს, იმისდამიუხედავად, დადგა გადახდის ვადა თუ არა, ყველა მისთვის შეწერილი გადასახადი; უკეთუ განმსხვისებელს ყველა ეს გადასახადი არ გადუხდია, გარიგების დამოწმება შეიძლება მხოლოდ იმ პირობით, თუ ქონების შემძენი იკისრებს პასუხისმგებლობას, რომ ქონების გასხვისების მომენტამდე განმსხვისებლისათვის შეწერილი ყველა გადასახადი თავის დროზე და სრულად იქნება შეტანილი“.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე **მ. ცხაკაია.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი **ხ. თოდრია.**

1929 წ. ივნისის 26.
ტფილისი—სასახლე.

სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილება

159. დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა ს.კ.ს.

კოლხიდის ჭაობების ამოშრობის სამუშაოთა რაიონში ყრილების (ბექურების) და სალობერო ნაგებობის დაცვის შესახებ.

რათა რაციონალურად გამოყენებული და თანაც დაცულ იქნეს მიწის ყრილები (ბექურები) და ლობერები, რაც ქალაქ ფოთს აკრავს და აგებულია მდინარე ცივისა და რიონის და პალიასტომის ტბის ნაპირებზე, აგრეთვე დაცულ იქნეს ქალაქ ფოთისა და სენაკის მაზრის რაიონებში მდებარე ხელოვნური ნაგებობანი, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. აიკრძალოს: ა) მიწის ყრილებზე (ბექურებზე) და ამ ყრილების კალთებზე, აგრეთვე ლობერების მახლობლად საქონლის ძოვება;

ბ) ეტლებისა, ურმებისა, ფურგონებისა და სხვა საზიდავ საშუალებათა გატარება, აგრეთვე საქონლის გადარეკა ყრილებზე (ბექურებზე) და ლობერებზე, გარეშე ადმინისტრაციის მიერ საამისოდ დანიშნული ადგილებისა;

ეროვნული ბიბლიოთეკა

გ) ღარეშაპებისა, საგუბრებისა და, საერთოდ, ყოველგვარი წყალსამეურნეო ნაგებობის თვითნებისად გამოყენება;

დ) ყრილების (ბექურების) გასწვრივ ჩარგული ხეების მოჭრა;

ე) ყრილებში (ბექურებში) და მათ მახლობლად მიწის ამოღება და თხრილების გაკეთება;

ვ) ნაგებობათა მახლობლად ბალახის დაწვა.

ამა დადგენილების დარღვევისათვის დამნაშავეს დაედება ადმინისტრატიული გადასახდელი საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 212 მუხ. მიხედვით; გადასახდელს დაადებს სათანადო ადგილობრივი ორგანო „სავალდებულო დადგენილებათა გამოცემისა და ამ დადგენილებათა დარღვევისათვის ადმინისტრატიული წესით გადასახდელის დადების დებულების“ წესისამებრ, უკეთუ ჩადენილი ქმედობა არ იწვევს პასუხისმგებლობას სისხლის სამართლის წესით.

3. ის თანხები, რაც დამნაშავეთ ჯარიმად გადაჰხდებათ, სახელმწიფოს შემოსავალში ჩაირიცხება საერთო წესისამებრ.

4. მიენდოს შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატს გამოსცეს, საქართველოს სსრ წყალთა მეურნეობის სამმართველოსთან შეთანხმებით, ინსტრუქცია ამა დადგენილების შეფარდებისათვის.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი **პ. მეგრელიშვილი.**

1929 წ. ივლისის 2.
ტფილისი-სასახლე.

---

160. დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა ს.კ.ს.

სტუდენტ-პრაქტიკანტების მიერ საზაფხულო პრაქტიკის ჩატარების შესახებ.

რათა უმაღლესი სასწავლებლების მიერ საზაფხულო პრაქტიკისათვის წარგზავნილი სტუდენტები გამოყენებულ იქნენ წარგზავნების მიზნებისადმიხედვით, საქართველოს სსრ სახალსო კომისართა საბჭო ადგენს:

1. წინადადება მიეცეს ყველა იმ სახელმწიფო დაწესებულებასა და კოოპერატიულ და სხვა ორგანიზაციას, სადაც მივლინებულ იქნებიან სტუდენტი-პრაქტიკანტები საზაფხულო პრაქტიკის ჩასატარებლად,—ამ სტუდენტ-პრაქტიკანტების სამუშაოზე დანიშვნის დროს მხედველობაში იქონიონ მათი მავლინების მიზანი.

2. სტუდენტ-პრაქტიკანტების საზაფხულო პრაქტიკა უნდა სწარმოებდეს ისეთი პროგრამის მიხედვით, რაც მიცემული ექნება სტუდენტ-პრაქტიკანტს უმაღლესი სასწავლებლის მიერ იმ დაწესებულებასა და საწარმოსთან შეთანხმებით, ვის განკარგულებაშიაც იგი მიივლინება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

3. წინადადება მიეცეს განათლების სახალხო კომისარიატს, შეიმუშაოს, სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოსთან, მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატთან და ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატთან შეთანხმებით, უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტების საზაფხულო პრაქტიკის საერთო პროგრამა 1929 წლისათვის.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს
თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი **პ. მეგრელიშვილი.**

1929 წ. ივლისის 2.
ტფილისი—სასახლე.

---

161. დადგენილება ს.კ.ს.

საქართველოს სსრ წიგნის პალატისათვის ლიტერატურის მიწოდების შესახებ.

რათა საქართველოს სსრ სამეცნიერო დაწესებულებებსა და წიგნთსაცავებს მიეწოდოს გაცვლის წესით უცხოეთის ლიტერატურა, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. მიეცეს საქართველოს სსრ წიგნის პალატას უფლება თავის გასაცვლელი ფონდისთვის უსასყიდლოდ მიიღოს საქართველოს სსრ ტერიტორიაზე (აფხაზეთის სსრ, აჭარისტანის ავტ. სსრ და სამხრეთ-ოსეთის ავტ. ოლქითურთ) ყველა დაბეჭდილი გამოცემა—თვითეული არა უმეტეს ხუთი ცალისა.

2. საქართველოს სსრ ტერიტორიაზე მომქმედი ყველა გამომცემლობა, მათ შორის სახელმწიფო და საუწყებოც, მოვალეა საქართველოს სსრ წიგნის პალატის განკარგულებისათვის შეინახოს ერთი წლის განმავლობაში დღიდან გამოსვლისა, ყოველგვარი ბეჭდვითი ნაწარმოების ხუთ-ხუთი ცალი და გადასცეს წიგნის პალატას უსასყიდლოდ პირველ მოთხოვნისთანავე.

3. ის ბეჭდვითი ნაწარმოებნი, რომელთა მიმართ მე-2 მუხლით დადგენილი ვადა გასულია, აგრეთვე ამა დადგენილების გამოქვეყნებამდე დაბეჭდილი გამოცემანი უნდა გადაეცეს საქართველოს წიგნის პალატას მისი მოთხოვნისთანავე, უკეთუ ეს გამოცემანი აღმოჩნდებიან გამომცემლობის საწყობებსა ან მაღაზიებში.

4. ამა დადგენილების მოქმედება არა ვრცელდება საიდუმლო ხასიათის გამოცემებზე.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი **პ. მეგრელიშვილი.**

1929 წ. ივლისის 2.
ტფილისი—სასახლე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

162. დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა ს. კ. ს.

სამრეწველო და სავაჭრო საწარმოთა წარმომადგენლობების მუშაობისათვის მეთვალყურეობის გაწევისა და ამავე მუშაობის აღნუსხვის შესახებ.

საქართველოს სსრ სამრეწველო და სავაჭრო საწარმოთა წარმომადგენლობის მუშაობისათვის მეთვალყურეობის გასაწევად და ამავე მუშაობის აღსანუსხავად საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. დაივალოს სახელმწიფო ტრესტებისა და რესპუბლიკანური და ადგილობრივი მნიშვნელობის სახელმწიფო ვაჭრობის გამგეობათა, იმ სახელმწიფო და შერეულ სააქციო საზოგადოებათა გამგეობათა, რომელთა წესდებებსაც ამტკიცებს ვაჭრობის სახალხო კომისარიატის რწმუნებული საქართველოს სსრ-ში, და საქართველოს სსრ ყველა კოოპერატიულ ორგანიზაციას—თავიანთი მუდმივი წარმომადგენლების სხვა რესპუბლიკებში წარგზავნის დროს, აცნობონ ხოლმე ეს საქართველოს სსრ მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატის სათანადო ორგანოებს, ხოლო მოსკოვში წარგზავნისას, ამის გარდა, აგრეთვე ა/კსფსრ წარმომადგენლობას სსრკ-ის სახალხო კომისართა საბჭოსთან.

2. წინადადება მიეცეს ამა დადგენილების 1-ლ მუხ. აღნიშნული ორგანიზაციების მუდმივ წარმომადგენლობათ დაუყოვნებლივ მოახდინონ სათანადო ორგოებში თავიანთი თავის რეგისტრაცია მათი მუშაობის ადგილას.

3. წინადადება მიეცეს მუშათა და გლეხთა ინსპექციას, ა/კსფსრ ვაჭრობის სახალხო კოაისარიატის რწმუნებულს საქართველოს სსრ-ში და მათ ადგილობრივ ორგანოებს მუდმივი მეთვალყურეობა იქონიონ ამა დადგენილების განხორციელებისათვის.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

საქართველთს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი **პ. მეგრელიშვილი.**

1929 წ. ივლისის 2.
ტფილისი—სასახლე.

საქართველოს სახკომსაბჭოს საქმეთა მმართველობის სტამბა
მთავლიტი № 1165. დაიბეჭდა 1.250.